ბენედიქტე XVI

ანჯელუსი

პაპის საზაფხულო რეზიდენცია, კასტელ განდოლფო
კვირა, 17 აგვისტო, 2008 წ.

„ყურადღებით და შეშფოთებით ვადევნებ თვალყურს საქართველოში შექმნილ ვითარებას და განსაკუთრებულად ვუთანაგრძნობ კონფლიქტით დაზარალებულთ. გულმხურვალედ ვლოცულობ გარდაცვლილთა სულებისთვის და გულწრფელად ვუსამძიმრებ ყველა მგლოვიარეს. ამასთან, მოვუწოდებ გულუხვი დახმარება გაეწიოს უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩენილ დევნილებს, განსაკუთრებით, ქალებსა და ბავშვებს, რომელთაც ზოგჯერ აუცილებელი საარსებო პირობებიც არ გააჩნიათ. ვითხოვ დაუყოვნებლივ გაიხსნას ჰუმანიტარული დერეფნები სამხრეთ ოსეთის რეგიონსა და დანარჩენ საქართველოს შორის, რათა მიცვალებულთა მიტოვებული ნეშტები ღირსეულად დაიკრძალოს, დაჭრილებს გაეწიოთ ჯეროვანი მკურნალობა, ხოლო მსურველებს საშუალება მიეცეთ შეუერთდნენ თავიანთ ახლობლებს. ამასთან, უზრუნველყოფილ იქნას კონფლიქტის მონაწილე ეთნიკურ უმცირესობათა ხელშეუხებლობა და არასდროს შეიბღალოს მათი ფუნდამენტური უფლებები. დაბოლოს, ვიმედოვნებ რა, რომ ევროკავშირის ძალისხმევით მიღწეული ზავი კიდევ უფრო განმტკიცდება და სტაბილურ მშვიდობად იქცევა, მოვუწოდებ საერთაშორისო საზოგადოებას კვლავაც შეუწყოს ხელი კონფლიქტის გრძელვადიან გადაწყვეტას დიალოგისა და საერთო კეთილი ნების მეშვეობით“.

(პაპი ბენედიქტეს სიტყვები ანჯელუსის შუადღის ლოცვის დროს, კვირას, 2008 წლის 17 აგვისტოს, პაპის საზაფხულო რეზიდენციაში, კასტელ განდოლფო)